ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4984804

ნომერი: AR1753174

თარიღი : 09.06.2020

გაცემის თარიღი : 15.06.2020

გაცნობის თარიღი : 15.06.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ალ. ჭავჭავაძე , N 21;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ყავლაშვილი პ/ნ 01024028516
- საქართველო, ქალაქი თბილისი, სულხან ცინცაძეს ქუჩა, N 7, ბინა 28

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- საცხოვრებელი ობიექტები
  - ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება. პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. თქვენს მიერ ესკიზით წარმოდგენილი საპროექტო მოცულობა თავისი მახასიათებლებით და მოცულობით/ვიზუალური თვალსაზრისით არ შეესაბამება ინდივიდუალურ ერთბინიან საცხოვრებელ სახლს. ამასთანავე საპროექტო შენობის სავარაუდო კლასი -შეესაბამება მესამე კლასს.საჭიროა განაცხადზე მიუთითოთ შესაბამისი ნომენკლატურა. (გეძლევათ ნომენკლატურის ცვლილების უფლება)
2. ფოტომონტაჟზე დაზუსტდეს საპროექტო შენობის მასშტაბი და მოყვანილი იქნას რეალურ მასშტაბთან შესაბამისობაში. მითითებული იქნას მოსაპირკეთებელი მასალები და ფერი RGB ან RAL კოდების მიხედვით;
3. შენობის განთავსების სქემაზე დატანილი იქნას ნარგავებამდე მანძილი. ტერიტორიაზე არსებულ ხე–ნარგავებთან მიმართებაში, დაცული უნდა იყოს მათ შორის მინიმალური 3 მეტრიანი მანძილი. სხვა შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნას არსებული ხე–ნარგავების საექსპერტო დასკვნა და ტაქსაცია, სადაც მითითებული იქნება თუ რომელი ხე–ნარგავი უნდა გადაირგოს ან მოიჭრას. ასევე აღნიშნული დატანილ უნდა იქნას სქემაზეც.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 30 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადიდარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.